# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 38 08
09/08/2018

**დმანისის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მოპოვებისთვის 2018-2024 წლების განსახორციელებელი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მოპოვებისთვის 2018-2024 წლების განსახორციელებელი სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დმანისის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მოპოვებისთვის 2018-2024 წლების განსახორციელებელი სამუშაო გეგმა

| N | დაგეგმილი ღონისძიებები | ვადები | მონიტორინგი | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|
| 1. | თანამშრომელთა გადამზადება:<br>ტრენინგების ორგანიზება. | 2018-2024 წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუქტურული ერთეული. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის განხორციელების სამუშაო ჯგუფი.<br>• საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭო | ააიპ“დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ |
| 2. | მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, ტექნიკური რეგლამენტის | 2018-2020 წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუქტურული ერთეული.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის განხორციელების სამუშაო ჯგუფი. | მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფა. | | • საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭო.<br>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური | |
| 3. | შენობა ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტები.<br><br>**ქ.დმანისის N1;N2 და სოფლების: განთიადი; ჯავახი; ვარდისუბანი; გომარეთი,მაშავერა,ზოსლები- საბავშვო ბაღებში** | 2018-2019 წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუექტურული ერთეული.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის განხორციელების სამუშაო ჯგუფი.<br>• საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭო. | მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური. |
| 4. | ეზოების და სათამაშო მოედნების მოწყობა. სახანძრო უსაფრთხოების და ჰაერგამწმენდი<br><br>სისტემების და ვიდეო კონტროლის მონტაჟი.<br><br>**ქ.დმანისის N1;N2; სოფლების: განთიადი; ჯავახი; ვარდისუბანი; გომარეთი; მაშავერა;** | 2019-2020წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუქტურული ერთეული.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის განხორციელების | მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სარკინეთი; ბოსლები - საბავშვო ბაღებში | | სამუშაო ჯგუფი.<br>• საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭო. | |
| 5. | მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის სრულყოფილად ამოქმედება. | 2020-2021 წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუქტურული ერთეული.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობის კონტროლის განხორციელების სამუშაო ჯგუფი.<br>• საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭო. | ააიპ“დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ |
| 6 | ახალი საბავშვო ბაღების გახსნა | 2022-2024წწ | • მუნიციპალიტეტის კურატორი სტრუქტურული ერთეული. | მუნიციპალიტეტის მერია |